საქართველო

სანოტარო ფორმულარი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაექვს ივნისს, მე, საქართველოს ნოტარიუს ნიკოლოზ ბერიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ილია სუხიშვილის ქუჩა N 45, ბლოკი "ა", სართული 2, ბინა N 2, მომმართა- **ზურაბ დალაქიშვილმა** (დაბ.: 08.03.1959 წ. პირადი ნომერი: 20001000665, გაცხადებული მისამართი: თბილისი დიმიტრი არაყიშვილის ქ. N 16/4 ბ. 14), მან მოითხოვა თანხმობის ტექსტის შედგენა და ამ თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზემოხსენებულმა მოქალაქემ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ამასთან ხელმომწერ პირს განემარტა წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას და დოკუმენტში მითითებული ფაქტები ჩემს მიერ შემოწმებული და დადასტურებული არ არის, შესაბამისად მის სამართლებრივ შედეგებზე პასუხის არ ვაგებ.განცხადების ტექსტი განმცხადებლის თხოვნითა და სიტყვებით შევადგინე მე, საქართველოს ნოტარიუსმა ნიკოლოზ ბერიკაშვილმა, რომელიც სანოტარო აქტის მონაწილეს წაეკითხა ჩემს, ნოტარიუსის მიერ, სანოტარო აქტი ხელმომწერ პირმა თავადაც წაიკითხა და განაცხადა, რომ წინამდებარე განცხადება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და მისთვის ცნობილია ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე განცხადებას/თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

თანხმობა

მე, **ზურაბ დალაქიშვილი** (დაბ.: 08.03.1959 წ. პირადი ნომერი: 20001000665), როგორც **შპს „დი გრუპი თბილისი“-ს** (ს.ნ: 405653760) დირექტორი, ვაცხადებ თანხმობას- **შპს „დი გრუპი თბილისი“-ს** (ს.ნ: 405653760) საკუთრებაში არსებულ შემდეგი უძრავი ქონების: მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია სუხიშვილის ქუჩა, N 31, ს.კ: 01.19.39.029.702.01.03.002, ფასადზე- **ნინო ნიკოლაძემ** (დაბ.: 21.02.1995 წ., პირადი ნომერი: 01019088284) **განათავსოს/გააკეთოს ნებისმიერი სახის გარე რეკლამა, აგრეთვე განათავსოს კონდინციონერის აგრეგატი და მზისგან დამცავი დასაკეცი ტენტი,** რისთვისაც შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

ზურაბ დალაქიშვილი _____

შესრულებულია ერთი ხელმოწერა ერთ ერთგვერდიან ეგზემპლარზე, გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **23.88 (ოცდასამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი,** მათ შორის: 6 (ექვსი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) 31.3 მუხლისა, 10 (ათი) ლარი - განცხადების პროექტის შედგენისათვის, თანახმად ამავე დადგენილების 31.13 მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოხსენებული დადგენილების 39-ე მუხლისა და დღგ - 2.88 (ორი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

/ნოტარიუსი/ _____ /ნიკოლოზ ბერიკაშვილი/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260850765
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.06.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნიკოლოზ ბერიკაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ილია სუხიშვილის ქუჩა N 45, ბლოკი "ა", სართული 2, ბინა N 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	598517518
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41667449486326

.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18